№ 4 | 26 იანვარი | 1873 | 26 იანვარი | № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

| | გაგზავნით, | | გაუგზავნელად | |
|---|---|---|---|---|
| ერთის წლისა — | 6 მან. | კაპ. | 5 მან. | კაპ. |
| ნახევრის წლისა | 3 » | » | 2 » | » |
| სამის თვისა — | 1 » | 75 | 1 » | 50 |
| ერთის თვისა — | » » | 60 | » » | 50 |
| ცალკე ნომრის — | » » | 12 | » » | 10 |

განცხადებანი, «დროებაში» დასაბეჭდათ, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით—ასოზე ¼ კაპ.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მერვე

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში, ბებუთოვის სახლებში).

ქუთაისში: გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты ВРЕМЯ» при типографіи Г. Церетели.*

გამოდის კვირაში ერთხელ, შაბათობით.

შინაარსი:

რედაქციის განცხადება.—საქართველო: «კავკასიის მეურნეობის საზოგადოება» და «სახოფლო გაზეთი».—წვრილი ამბები.—«დროების» კორრესპონდენცია:: სამეგრელოდამ.—რუსეთი: მოსკოვიდამ (·«დროების» კორ.)—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი,—პარიჟიდამ («დროებ.» კორრეს.)—განცხადებები.
ფელეტონი: ცხელ-ცხელი ამბები—აკაკისა.

ამა 1873 წ. ხელის-მოწერა

«დროებაზე»

მიიღება თფილისში—«დროების» რედაქციის კანტორაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან და ს. მესხთან.

უეზდებში «დროების» აგენტებთან.

ხელ-მოსაწერი ფასი

| | გაგზავნით. | | გაუგზავნ. | |
|---|---|---|---|---|
| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
| ერთის წლისა — | 6 | » | 5 | » |
| ნახევარის წლისა | 3 | » | 2 | 50 |
| სამის თვისა — | 1 | 75 | 1 | 50 |
| ერთის თვისა — | » | 60 | » | 50 |

ახალ ხელის-მომწერლებს უმორჩილესად ვთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვევით დაწერილი გამოგვიგზავნონ და აგრეთვე შეგვატყობინონ ყოველთვის, როდესაც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

ვთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერის ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე გამოგვიგზავნონ.

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ შარშანდელ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერაც არ შემოუტანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.

## საქართველო

### კავკასიის მეურნეობის საზოგადოება
და
### «სახოფლო გაზეთი»

ოც წელიწადზე მეტია, რაც დაარსდა თფილისში კავკასიის მეურნეობის საზოგადოება, რომლის დანიშნულება ის არის, რომ ევროპიული მეურნეობის ცოდნა და საუკეთესო მაშინების ხმარება და სარგებლობა გაავრცელოს ჩვენს ხალხში. ამ დროის განმავალობაში «საზოგადოებას» ყოველ წლობით სამი ათასიდამ ოთხი ათას თუმნამდი ეძლეოდა მთავრობისაგან იმისთვის, რომ დაეხმაროს მას თავის მიზნის აღსრულებაში, ე. ი. ჩვენებური მეურნეობის წარმატებაში.

ყოველი კაცი, რასაკვირველია, იკითხავს: რას აკეთებს ეს «საზოგადოება» იმ შემწეობით, რომელსაც მას მთავრობა აძლევს? ასრულებს ის თავის დანიშნულებას, თუ არა? დაეხმარა ის ჩვენი მეურნეობის და სახლოსნობის წინ წასწევას და ევროპიულ გზაზედ დადგომას, თუ არა?

ამ კითხვებზე პირ-და-პირ პასუხის-გების მაგივრათ, ჩვენ ვეცდებით, რამდენათაც შესაძლოა, მოკლეთ განვიხილოთ ჩვენი «მეურნეობის საზოგადოების» მოქმედება.

პრაქტიკული მოქმედება «საზოგადოებისა» დღემდი მხოლოთ იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგიერთ მემამულეებს აძლევდა ფულით შემწეობას, თუ შეიტყობდა, რომ ეს მემამულე რიგიანი მეურნეობის გამართვას ან ახალი რომლისამე სამეურნეო მაშინის ყიდვას აპირებს; მაგრამ თითქმის ყოველთვის ამგვარი შემწეობა შეძლე მემამულეებს ეძლეოდათ და არც იმათთვის იყო მაგდენათ სასარგებლო,—მთელი მხრისთვის ხომ სრულიად შეუნიშნავი რჩებოდა. ამას გარდა «საზოგადოება» თესლებსა და ნერგებს ურიგებდა მემამულეებს; მაგრამ ესეც უნაყოფოთ რჩებოდა, რადგან ჩვენებმა იმათი მოვლა არ იცოდნენ.

დარჩა ერთიღა პრაქტიკული საქმე, რომელიც მართლა რომ ყურადღების ღირსია; ეს არის ლოჭინის მეურნეობის შკოლა, რომელსაც, ეხლა თუ არა, შემდეგში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუ «საზოგადოებამ» უფრო გულს-მოდგინეთ მოჰკიდე იმას ხელი.

მგონი, თვით დაარსებიდგანვე ეს «საზოგადოება» სცემს თავის «წერილებს» (Записки Кавказскаго Общества Сельскаго хозяйства)—ჟურნალს, რუსულს ენაზე, რომელშიაც იბეჭდება სხვა და სხვა სამეურნეო და სამეცნიერო სტატიები ზოგი თვით საზოგადოების წევრებისა და ზოგი გარეშე პირებისა. ჩვენ არ შეუდგებით ამ ჟურნალის განხილვას; იქნება ამ ჟურნალში ბევრი კარგი და სასარგებლო სტატიები იბეჭდებოდეს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ჟურნალი გამოდის ისეთს ენაზე, რომელიც ჩვენი მემამულეების მომეტებულ ნაწილს სრულებით არ ესმის. ჟურნალი რომ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, იმას რომ ჩვენი მემამულეებისთვის სარგებლობა არ მოაქვს,—ამაში ის გარემოება გვარწმუნებს, რომ ის ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, იმას კაცი არ ჰკითხულობს.

ეს გარემოება, როგორც სჩანს, თვით «საზოგადოებამაც» იგრძნო, და ამის გამო შეეკრა უფ. ი. კერესელიძეს, რომელსაც

## ფელეტონი

### ცხელ-ცხელი ამბები

#### იმერელი თფილისში

თქვენ ნუ დამეხოცებით, მართლა რომ კარგი რამ ყოფილა თფილისი: როგორც დიდს კეცში დიდი მჭადი, ისეა ჩამჯდარი ირგვლივ შემოვლებულ დიდ მთებს შუა! მასთანაც საამო სანახავია: დახატული და ჭრელი!.. მივჩერებივარ და გაკვირვებული ვარ ამის ყურებით!... რომ ვინმემ დამინახოს, იფიქრებს, თუ ეს იმერელი, თუ არაფერი დაჰკარგვია, უთუოდ ხიზილალას უნდა ეძებდესო!.. რა ბრძანებაა! . მე რომ დავეძებ, ვხედავ, რომ ის აქ არ იპოვება, და რაც შეეხება ხიზილალას, არც ვეძებ და ვერც სადმე ვხედავ! მის ნაცვლად, საითკენაც უნდა გადავადგა ბიჯი, მარჯვნივ თუ მარცხნივ, წინ თუ უკან, ყოველგან და ყოველთვის ლობიოებსა ვხედავ!.. ეტყობა, რომ აქ ადრე დამდგარა დიდმარხვა და აღდგომაც მალე არ მოვა. მართალია, იქა-აქ ხორცებსაც კი შეჰხედი, მაგრამ ვაი ამისთანა ხორცებს! ამათ ისევ ლობიო სჯობია: ზოგი დაძველებულა და მძორის სუნი უდის და ზოგი, თუმცა კი ახალია, მაგრამ იმისთანა ჭურჭელში ჩაუდევთ, რომ ფერი წასვლიათ და აყროლებულან! ასე იცის ვიწრო ქოთანში გლახათ ჩადებამ, მარილი რომ ნაკლე მოუვა და წვენი კი უზომოთ მეტია!... ერთის სიტყვით, სახსნილოს აქ კაცი ვერ მონახავს!...ლხინი რომ გინდოდეს, სამარხოზედ უნდა გადაიარო; ავათმყოფი რომ გყავდეს, სამარხოთი უნდა გაბერო და მითი გაუსწრაფო სიკვდილი. აი, მაგალითად, აქ ვიღაც «თომა» დაბადებულა და მის სამეჯლიშოთ დამპალი ხორცებით იოლათ მიდიან. აგრეთვე ჩვენი «გიორგი»: თურმე ძალიან შეწუხებული ავათმყოფია და მისთვის სახსნილო ვერ უშოვიათ. არა, ძმაო, თავს უნდა უშველოს კაცმა აქედამ, თორემ ტყუილია საქმე: ან მყრალს ხორცს აჭმევენ და ან შიმშილით ამოხდება სული. ცუდს ნიშნებს ვხედავ, ცუდს! მარხვა, უდროვოთ მარხვა! დიდ-მარხვა!.. სულის საქმეს შესდგომიან აქ. «ნეტარ არიან, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა!...» მე აქ აღარა მრჩება-რა უნუგეშოს და უხიზილალო იმერელს გულ-დაწყვეტისა და ამ სიმღერის მეტი:

ვერსად ვნახე ხიზილალა!
ყველგან მხვდება ლობიო!
ძველი ხორცი მთლად დამპალა,
ახალს აძევს ობიო!!

—

დიდ-მარხვა ადრე დამდგარა,
შორს წასულა აღმდგომა;
«გიორგიც» ავათ გამხდარა,
დაბადებულა «თომა»!..

—

იმერლები მას ტირიან:
«ღმერთო ეს რა არიო!»
აქაურებს შეჰყვირიან:
«მოგვეცით ცოცხალ-მკვდარიო!.»

—

«თქვენ «თომას» პატივი ეცით:
უთხარით «მზე-შინაო»!
ავათმყოფი ჩვენ მოგვეცით,
რომ წავიღოთ შინაო!..

—

«იქ ვუშოვით სახსნილოს ბევრს,
უმზადებთ წვნიანებსო,
თორემ აქ კი, ვაი თქვენს მტერს,
მარხვა აზიანებსო!!..»

მაგრამ რას ტირიან საწყალი იმერელი-ქართველები! ვინა ჰყავსთ და სადა ჰყავსთ გამგონი?... აქაო და ორთაჭალის ბაღებში ქეიფები არ გიყვართო და ქართლელი-ქართველები დაგცინიან.

აი, ამ გვარის ფიქრებით ვიყავი გაბრუებული და არ ვიცოდი—თუ სად დავდიოდი, ისე უეცრად შევედი ერთს ბაღში, სადაც ჩამიარა გვერდით ერთმა პირმა ახალგაზდობამ. ოხ, ღმერთო ჩემო, რა მოსაწონი ახალ-გაზდობაა! თავიდამ ფეხებამდი მორთული და მოკაზმული, უდარდელი და ბედნიერი!.. ჩექმები ფეხებს უშვენებენ, ქუდი თავს უშვენებს, და ფრანტული ტანთსაცმელი სხეულს. ყელზედაც აბრეშუმის ყელსახვევი აგვირგვინებს მათ მორთულობას, მაგრამ, ჩემის აზრით, სხვა ყელსახვევი უმჯობესი იქნებოდა მაგათთვის აბრეშუმისაზე..... აი, კიდევ მოდის მეორე პირი ახალგაზდობა: თავ-დაღუნული, იმეჯ-მიხდილი და ღონე-მოკლებული! ეტყობათ, «თომას» ღამის თევაში მიდიან!..გზა დაულოცოთ! რადგან მაგათი «ზარი» და «მზეშინაც» ორივე ერთია და უბარაქო!.. .. აი, კიდევ მესამე პირი ახალგაზდობაც მოდის, ცალ ხელში უჭირავსთ ბატის ფრთა, უკულმა გამოჭრილი, და მეორე ხელი დაუმკლავებიათ სამუშტ-კრივოთ! ისე მოდიან, თითქო ქვეყანა მაგათ აეშენებიოსთ! ხაბარდა! ჩამოდექით! გზა გვიტიეთ! და თანაც იმღერიან: «მე ვარ და ჩემი ნაბადიო!..»—ვაი, ეს რა ხალხში ჩამოვარდი?.. ეს რა ადგილია, საავათმყოფო ხომ არ არის?... ჩუ! ისმის უმანკო კისკისი ახალგაზდა ქალებისა...რაღაცა უჭირავსთ ხელში და ყმაწვილურის ახტაცებით მოთამაშობენ. აბა, ერთი მივიდე, გავეცნო და თანაც შევიტყო, რას იცინიან? უთუოთ ამელამ ბალში წასვლას აპირებენ და ის ახარებსთ!... ვნახოთ აბა...

—ბატონებო, თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, ერთი მიბრძანეთ, სადა ვარ?

ახალგაზდა ქალები გაოცებით მიყურებენ. — «არა, ბატონებო, უადგილო ნუ გგონიათ ეს ჩემი კითხვა და ნუ გიკვირსთ: მე გახლავარ იმერელი, პირველად ჩამოსუ-

«საზოგადოებისაგან» მიცემული ფულით, უნდა გამოეცა სამეურნეო გაზეთი («გუთნის დედა»), რომლისთვისაც დაინიშნა მეურნეობის მცოდნე პირი, უფ. ი. სერებრიაკოვი. მაგრამ სერებრიაკოვი მალე მოკვდა და იმის შემდეგ «გუთნის-დედასაც» თან-და-თან აკლდებოდა სიცოცხლის ნიშანი.

ამ დროს დაარსდა «სასოფლო გაზეთი.» ამ ახალი სახალხო გაზეთის რედაქციამ «საზოგადოებას» წინადადება მისცა, რომ, თუ შემწეობას მომცემთ, «სასოფლო გაზეთში» მეურნეების და სოფლის სახლოსნობის ნაწილს შემოვიღებ და ეს გაზეთი თქვენ გაავრცელეთ ხალხშიო. «საზოგადოება» დათანხმდა, და ამნაირათ რედაქციას ყოველ წელიწადს ეძლეოდა ოთხმოც-და-ათი თუმანი, რომლისთვისაც თავის მხრით ვალდებული იყო ოთხას ორმოც-და-ათი ეგზემპლიარი «სასოფლო გაზედისა» წარედგინა «საზოგადოებაში.» ეს მოხდა 1871 წელს და წლევანდელი წლის იანვრამდი საქმე ამ მდგომარეობაში იყო.

ამ თვის 13-ს «საზოგადოების» კრებამ გადაწყვიტა, რომ «სასოფლო გაზეთი» რიგიანათ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებასაო და ამის გამო დაიწყო იმაზე მოლაპარაკება, რომ დაეარსებინათ სხვა გამოცემა, რომელსაც უფრო რიგიანათ შეეძლოს «საზოგადოების» პროგრამმის შესრულება. ამ სხდომაშივე უფ. არწრუნიმ წარმოსთქვა აზრი, კარგი იქნებაო, რომ «საზოგადოებამ» სუმხურს ენაზედაც გამოსცეს სამეურნეო გაზეთიო, რადგან სომხებით დასახლებულს სოფლებში ამგვარი გაზეთის საჭიროებას გრძნობენო.

ამ უკანასკნელი ამბის თაობაზე, ჩვენ არ შეგვიძლია არა ვსთქვათ, რომ მართლაც ძლიერ კარგი იქნება ქართულსა და სომხურს ენაზე, ერთად რომ გამოდიოდეს სამეურნეო გაზეთი.

რაიცა შეეხება «სასოფლო გაზეთს», უნდა ვსთქვათ, რომ თუ ეს გაზეთი ხანდისხან ვერ აკმაყოფილებდა «მეურნეობის საზოგადოების» მოთხოვნილებას, ამაში, ჩვენის აზრით, თვით «საზოგადოებაა» დამნაშავე და არა რედაქცია: "მეურნეობის საზოგადოებას» ძალიან კარგათ შეეძლო, მომეტებული შემწეობის მიცემით ისეთს, გზაზე დაეყენებინა გაზეთი, რომ ის უფრო გამოსადეგი შექნილიყო ჩვენი სოფლის ხალხისათვის. თორემ «საზოგადოება» 450 ეგზემპლიარში მხოლოთ 900 მანეთს აძლევდა და ამ ფულებით ჰსურდა, რომ იდეალური გაზეთი ჰქონოდა!...

უკანასკნელად ვიტყვით, რომ ჩვენ ძალიან მოგვწონს ის გზა, რომელზედაც დგას ეხლა ჩვენი «მეურნეობის საზოგადოება»: ჩვენის აზრით, ქართულისა და სომხურის ლიტერატურის შემწეობით, ის ბევრს სიკეთეს მოუტანს ჩვენ ჯერ კიდევ ადამისჟნის მეურნეობას. მაგრამ ამ საქმეში სიძუნწე სრულიად არ გამოდგება...

ს. მ.

---

ზაფხულშიაც ხელს არ ავლებდნენ, მაგრამ ამ ზამთარში მაინც თითქმის ნიადაგ ისმის საჩივარი ჩვენ რკინის გზაზე. ყველა, ვისაც კი შემთხვევია ამ გზით მოგზაურობა, ყველა უჩივის და უკმაყოფილებას აცხადებს. განსაკუთრებით ვაჭრებისაგან ხანდისხან გაიგონებთ, რომ, ღმერთმანი, უწინდელი ჩვენი შოსსეს გზა და აქლემები გვერჩია ამისთანა რკინის გზასაო, უწინ ოთხ-ხუთ დღეს მაინც ჩამოვიტანდით საქონელს ფოთიდამ თფილისამდიო და ეხლა კი ღმერთმა არ იცის, სად ყრია ჩვენი საქონელი თითო ოროლკვირასაო.

***

გაზ. «კავკაზი» გვაცნობებს, ვითომც ახალი კამპანია სდგებაო ჩვენში, რომელსაც უნდა, რომ ალაზნის მარჯვენა მხრის მინდვრებში არხები გაიყვანოს. ამ არხებით კამპანიას უნდა მორწყას კახეთის საუკეთესო ნაწილი, ე. ი. თითქმის მთელი თელავის უეზდი და სიღნაღის უეზდის ერთი ნაწილი.

ეს ამბავი, თუ მართალი გამოდგა, ძლიერ სასიამოვნო უნდა იყოს კახეთისათვის. სასურველია მხოლოთ, რომ ეს საქმე პატიოსან კაცებს ეთავოს, რომელთაც მარტო თავის სარგებლობა არ ჰქონოდესთ მხედველობაში, არამედ ცოტაოდენი ყურადღება მაინც ხალხის საჭიროებისათვისაც მიექციოსთ. თუ მოხერხებითა და მარჯვეთ წაიყვანეს საქმე, მაშინ იმედია, თვით კახეთის მცხოვრებლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ არხების გაყვანაში.

***

უფ. ზაქარიძე გვწერს ქართლიდამ, რომ ამ იანვრის დამდეგამდი იქ ძლიერ თბილი დღეები იყოვო ასე, რომ ზოგიერთი ხეხილის ხეები აყვავდაო, მაგ. ტყემლისა. იანვრის ოთხიდამ კი დაწყებულა თოვლი და შემდეგ წვიმაც. მთებზე დიდი თოვლი სძევსო და ეს გარემოება დიდ იმედს აძლევს ქართლელ გლეხებს, რომ გაზაფხულზე წყალი უხვად იქნება და ისეთს გაჭირვებას არ გამოივლიან უწყლობისაგან მემამულეები, როგორც შარშან ზაფხულს გამოიარესო.

***

ამ მოკლე ხანში თფილისში კიდევ ერთი ახალი გაზეთის გამოცემა დაიწყება. ამ გაზეთს ერქმევა სახელად: «სასარგებლო ცნობათა და განცხადებათა ფურცელი.» გამომცემელი და რედაქტორი ამ ახალი რუსული გაზეთის «ფურცლისა» უფ. სერგეევი იქნება.

***

პირველი ფებერვლიდამ, მმართებლობის განკარგულებით, გაუქმდება შემდეგი სტანციები: ნიჩბისისა, ახალქალაქისა, გორისა და ორგორებისა.

***

«თფილისის მოამბე» ამბობს, რომ იანვრის 7-ს თფილისის ქალაქის გამგეობამ თავის საზოგადო სხდომაში გადაწყვიტაო, მთავრობასთან ვიშუამდგომლოთო, რომ ჩვენს ქალაქში სავაჭრო სასამართლო დაწესდესო.

***

მმართებლობის განკარგულებით, გაიყიდა ის ნაწილები ყარაიაზის მინდვრისა, რომლებშიაც არხები იყო გაყვანილი. ამბობენ, რომ ძალიან ბევრი მუშტრები ყოფილა და თითქმის ყველა ნაწილები კერძო პირებს უყიდნიათო.

***

გაზ. «კავკაზს» შეუტყვია, რომ თ. ი. ე. ერისთვის მინის ქარხანა, რომელიც გორის უეზდშია, უფ. ეპშტეინს აუღია იჯარით და გულს-მოდგინეთ შედგომია იმის შეკეთებას და გაუმჯობესებას. ჩვენ გაგვიგონია, რომ ამ ქარხანაზე ძლიერ ბლომათ დახარჯულა ფულები, მაგრამ ხეირი კი მისგან დღემდი არც პატრონს და არც სხვას არავის არ უნახავს. ეს კარგი მაგალითია იმათთვის, როელნიც უარს ჰყოფენ ტუ[illegible]-არგებლობასა...

---

## «დროების» კორრესპონდენცია

### სამეგრელოდამ

(გაგრძელება)

გარდა ამ საწყენის მხრისა, უფრო ლია და საამო მხარეც აქვს ამისთანა კაცის შეკრებას. აქ ბევრს გაიგებს კაცი ქვეყნისას და ნახავს საზოგადოების შესადარებელ ჰდეებს და კერძო პირების მაჩვენებლობითს და ნამდვილს გრძნობას, სურვილს, დრტვინ ას და მსჯელობას. შეხვდომით მოსული კაცი ხალხის შეხედვით სრულიად ვერ იფიქრებს აქ ლხინია, ალაპია, თუ ქალაქობა: ის ნახავს ჯგუფ-ჯგუფად მდგომს, მჯდომს, ან მოსიარულე კაცებს, რომელნიც ხშირად ბეჯითსა და უხუმარს ლაპარაკში არიან უთუოდ რასმე საერთო საქმეზე და ამას თავისებურად, სწორად და მრუდად არჩევენ. მაგრამ ამაში რაღაცა დროებისაგან მოდეზებული საჭიროების ზრუნვა ცხადათ გამოჰსჩანს, რომელიც ატრიალეს ხალხის ჭკუასა და აზრს აქეთ და იქით, და ხან სულ ერთმანეთის უცხოს და წინაალმდეგ ერთი მეორეს შეახლის. აი, მაგალითად, ერთს ამ გვარ კრებათა-განში ერთის ზემო-ნათქვამი ჯგუფისათვის კაცს რომ ყური მიეგდო, თუ რას ნახავდა და რას გაიგონებდა გულში ჩასარჩენს.

მინდორში სკამ-ლოგინებზე და ან ნაჯირკლებზე, თუ მოლზე მსხდომს რამოდენიმე სხვა და სხვა ხნის, ჰაზრის და წოდების კაცებში ერთი საპატიო ხნის, წვერ-მოპარსული და ულვაშ-შეღებილი, თავ-მოტიტვლებული ბატონი აგდებით და თან წყენითაც ეცილება მისს პირდაპირ მჯდომს წვერ-მოშვებულს, მაღალ-ჩექმებიანს, ევროპიულად ჩაცმულ ყმაწვილ კაცს:

— კაი, მამაშენი ნუ წაგიწყდება! ნეტავი ჩვენ, რამდენი მტკაველი ადგილი გვაქვს, თუ იმისთვისაც ფული ვიხადეთ.

— კი, მაგრამ, როცა ბევრს მოგცემს ის ადგილი, მაშინ ცოტას გადახდა არ შეგეზარებათ; ახლა კი, ოღონდაც ვერას მისცემთ ქვეყანას, რაკი თვითონაც არა შემოგიდისთლი თფილისში, არც გზა ვიცი და არც კვალი! და მისთვის ჰკითხავთ, თუ სადა ვარ-თქო! ე. ი. ამ ადგილს რა ეწოდება?

— ჰო! ეს გახლავსთ ალექსანდრეს ბაღი? მიპასუხებენ მშვიდობიანად.

— ეს ახალგაზდა ვაჟები ვინ არიან, სამპირათ რომ მიდიან სადღაც?

— ჩვენი ქართველები არიან, უცხოქვეყნებიდამ დაბრუნებულები.

— რა მოხელობაშიდ არიან?

— ბიჯით გზებსა ზომავენ!...

— რათ უნდათ, რომ გამოზომონ და შეიტყონ რიცხვი?

— კუჭის მოსარჩენათ: რამდენი უქმი ლუკმა გადაუყლაპავსთ იმდენი ათი ბიჯი უნდა გადადგან, რომ არ დასნეულდნენ.

— მაშ, როგორაც სჩანს, დაჯდომას ვეღარ ეღირსებიან!—მაგრამ დავანებოთ მაგათ თავი და ეხლა ეს მიბრძანეთ, რა არის მიზეზი თქვენი მაგრე გახარებისა?

— როგორ თუ რა? განა სასიხარულო ნიშნები არა გვაქვს? ამას ხომ ხედავთ?! მითხრეს და მაჩვენეს რტო ზეთის-ხილის, რომელიც იმათ ხელში ეჭირათ.

— რას ნიშნავს და რა არის მანდ სასიხარულო?

— როგორ თუ რა! ვერა ხედავ ამ კუკურებს? ესენი ოდესმე გაიშლებიან, გამოიღებენ ფოთოლს, ყვავილს და შემდეგ ნაყოფსაც! განა ეს სასიხარულო ნიშანი არ არის? აქედამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მალე მოვა გაზაფხული!...

ამ სიტყვებმა მე ოცნებაში შემიყვანეს. უეცრად მომაგონდა ნოეს კიდობანი, საიდამაც გამოუშვეს ყვავები, რომ შეეტყოთ, წარღვნა გათავდა, გამოჩნდა ხმელეთი, თუ არაო. მაგრამ ყვავები მძოვრებს დაასხდნენ და დაუწყეს ჭამა. მაშინ ხელმეორეთ გამოაფრინეს კიდობნიდამ მტრედი, რომელმანც ნიშნად წარღვნის მოსპობისა, მოსტეხა რტო ზეთის-ხილისა და მიიტანა კიდობანში!... ნუ თუ მართლა ჩვენშიაც, ნიშნად განათლების მოახლოებისა და უგუნურების წარღვნის გათავებისა ნიშნად, ქალებმა უნდა მოიტანონ ზეთის-ხილის რტო? ვინ იცის? ჩვენი ჩვეყანა ჩვეულია ამგვარ ამბებს: იქ, სადაც ანდრია მოციქულმა ვერა გაარიგა რა, ნინომ შემოიტანა და გაავრცელა პირველად ჭეშმარიტება! ღმერთმან ინებოს, რომ ჩვენი ქვეყნის ქალები დამდგარიყვნენ სწორს გზაზედ..

ამ ფიქრების შემდეგ, მე მიუბრუნდი კიდევ იმ ახალგაზდა ქალებს და ვჰკითხე:

— მიკვირს, რომ მოგიცლიათ ზეთის-ხილის საძებრად მაშინ, როდესაც თაიგულების ძებნა უფრო შეგფერისთ!... ამაზედ მათ მომიგეს მრისხანედ და გულ-დაკლებით:

— ჩვენ არ გახლავართ ისე გაზდილები, ჩვენი შემგონი სხვა არის!

—ვინ არის თქვენი გამზდელი და თქვენი ეგრე შემგონებელი რა კაცია?

— იმერელი!... რა გაგიკვირდა?

— როგორ თუ რა გამიკვირდა! მე მეგონა, თუ იმერლები ხიზილალის ძებნის მეტს არას აკეთებდნენ ამ თფილისის ქალაქში!...

— დიახაც არა! მუშა-ხალხი მათ მეტი განა ვინა გვყავს: რედაქტორები იმერლები არიან, მწერლები, თანა-მშრომლები იმერლები, მესტამბეები იმერლები, მოსამსახურეები იმერლები, მზარეულები იმერლები და მებაღეებიც ისინივე! ერთის სიტყვით, ჩვენს ჭკუასაც და სხეულსაცა ისინი უმზადებენ საზრდოს!

— მაშ აქაურები რაღას აკეთებენ?

— ქეიფობენ და მუხამბაზებს იმღერიან. ამას იმერლები კი ვერ მოახერხებენ!...

— როგორ თუ ვერ იმღერებენ! მაგრამ მათი მუხამბაზი სულ სხვა კილოზედ არის! თუ გნებავსთ, ერთს მუხამბაზს ძველებურს მე მოგახსენებთ, იმერლები რომ იმღერიან:

**მუხამბაზი**

შინა და გარე მტერთა
ჰოი! ჰოი! შენ! შენ! ვიშ! ვიშ!-კრულო!
წყლულო!
ხალხოსნობა მოუპარავსთ
შენთვისა!
ჩვენთ ძველთ გულის მაძგერთა
ჰოი! ჰოი! შენ, შენ! და სხვ.
მტერთან სისხლი დაუღვარავსთ
შენსთვისა!

—

მათნი ნაშთნი გულ-გრილად
ჰოი! ჰოი! შენ! შენ! და სხვ.
რას ილხენენ დღეს ნეტარად?
რისთვასა?
არ სჯობს მიდგენ სიკვდილად?
ჰოი! ჰოი! შენ! შენ! და სხვ.
ან ცოცხლობენ აწ ნეტა რად?
რისთვისა?

—

ან სხვაგან რათ მიდიან?
ჰოი! ჰოი! შენ! შენ! და სხვ.
ვერაფრისა ვერ შემძენნი
შენთვისა?
თუ თვითონვე გაჰყიდიან
ჰოი! ჰოი!—შენ! შენ! და სხ.
თვის მშობელსა მისნი ძენი
სხვისთვისა?

—

მაგრამ ერთხელ მაინცა
ჰოი! ჰოი! შენ! შენ! და სხ
უნდა ვჰპოვოთ ჩვენ იგი დრო
შენთვისა,
როცა შვებას მოგვცემს ცა,
ჰოი! ჰოი! შენ! შენ! და სხ.
რომ სიბრძნე შენც დაიმკვიდრო
შენთვისა...

—

აქ კიდევ მინდოდა გამეგრძო ჩემი მუხამბაზი, მაგრამ უეცრად ვიღაც კაცი მოვიდა და მომაღირა წითელი ისარი!...

აგაკი

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქვენი მდიდარი ადგილებიდამ, ამიტომ რომ თავიდამ და ყელიდამ შურის და ლაძღვის მეტი არა გამოგდიდისთ რა.

— თქვენ კი თქვენი თავით ძალიან ბევრი კეთილი შემოიღეთ და კიდევაც დაგვაჩინეთ. ქვეყანა დაატყავეთ ადვოკატებმა და ქურდობა და მოხდომა ისე გაამრავლეთ და გააქეზეთ, რომ ღამე შიშით აღარ მძინავს. ვინმე ჩემი ცოლდით სავსე არ შემოვარდეს, მეც სული არ გამაცხებინოს, და საცხოვრებლისგანაც არ გამცალოს მეთქი. რას იზამ? თუ ვერ შეუტყვე, ხომ დაიკარგა და თუ შეუტყვე, ან მოგკლავს, ან არა და რისი ეშინია: მივა ვიღაც ენა-ოხერ ადვოკატთან და ის «აშოროს» ათქმევინებს; შენ ოცდა ოთხ მოწამეს სად იშოვნი და ამით ზე გადაავლებს თავზე; თუ ასე ვერა დამტკიცდა, მაინც რას შეუხვალ? იმოდენს იტანჯება, იმოდენს ახევს ხუთმეტ კლასში გამოწვრთნილსა და გამოჩალხულ ენას, ეს ასეო, ე'ს ისეო, ეს ამიტომაო, ეს გაბრიქვებაო, ეს შეცდომაო, ეს უსწავლელობაო, ეს გაუზრდელობაო, ე'ს მცირე წლოვანებაო—ერთი რაღაც კი იქნება, აბა ისე რავა იქნება?—და ამ მიდებ-მოდებით ში გამოაძრევენს მართალსავით და შეარჩენს ნაავკაცევს; მერე, რასაკვირველია, უარესს იზამს. ეს არის თქვენი სამართლის ნეფობა და თქვენი კაი დრო! მართალს არ ვამბობ, თუ ღმერთი გწამსთ? მიუბრუნდა სხვებს ამ კითხვით, თავის ლაპარაკისაგან გახარებული და თავ-მაღლა-აღებით გარემო მყურები მოხუცი.

— მართალს, მართალს! მიაგებს ზოგიერთებმა.

— არა, ჩემო ბატონო! დაიწყო ისევ პიჯაკიანმა. თქვენ ერთი რომ დავიწყებული გაქვსთ უწინდელი ავკაცობაები და შესადარად ახლანდელისათვის ხსოვნაში არ მოგყვებათ-რა, მეორე—თქვენ არა გაქვსთ გაგებული კარგად არც ადვოკატების ლაპარაკი და არც ის, რომ ოცდა ოთხი, თუ თორმეტი მოწამისაგან ქურდის ქურდობაში შესწრება მოგონილია და არა კანონის მოთხოვნილება, და მესამე, ვინც დამნაშავეა, იმას კანონის მოხდისაგან ვერაფერი სიტყვის ღვლარჭნა ვერ იპატივებს და კიდევაც, ყველამ იცით, ამ ორ-სამ წელიწადში რამდენს უბედურის შვილებს გაუსაქეს ციმბირისკენ. მაგრამ ჩვენ ამაზე სულაც არაფერს ვლაპარაკობდით, მხოლოდ თქვენ გადმოკარით აქეთ, პირდაპირ ჩემთვის, და ა'ვე უგანაჩენოდ მოიმოწმეთ რომელიმე ამ კრებისაგან. მე თქვენ არ გელაპარაკებით თქვენზე და ნურც თქვენ ეკამათებით ჩემს პიროვნებას და ხელობას. ეს მარტო ერთმანეთის საწყენი ქიშპობა იქნება, რომელიც არ ეკადრება პატიოსანი კაცების ლაპარაკს. თქვენ ეს მიბრძანეთ: ყველას სიკეთე თვითოეულისათვისაც ხომ, რასაკვირველია, კარგი იქმნება და ამის შეწევნა, ხელის შეწყობა კეთილ-შობილის და მამულის კარგის მდნომი კაცისაგან მოსაწონი და საქმნელია, თუ არა?

— თქვენი ლაპარაკი, დედაჩემი არ წამიწყდეს, ისე არ მესმოდეს, როგორც არაბული. რა სიკეთეს ამბობ, მე 'ვერ მიხვდი, მე სულ სიცუდეს ვხედავ და ხელ-ვიწროობას, თვარა სიკეთე არაფერი შამოსულა ჯერ და აწიც რა შემოიყვანს თქვენს გადამკიდე ქვეყანაში, არ ვიცი!

— მე ისევ იმას ვამბობ, რასაც მოგახსენებდით და თქვენ სხვას გადაყევით: საზოგადოდ ქვეყ....

— ჴიიი! სხვას გადავყევი კი არა და მართალი რომ გითხარი, გეწყინა და ის იყო! გააგდებინა სიტყვა წამოფეთქილმა ბერი-კაცმა და გაგულისებულად დაუწყო გრეხა და კრაწნა თავის ინით-ფეროვან ულვაშებს.

ამ დროს ამ ჯგუფში შემოვიდა ერთი შუახნის და ტანის, მარჯვე და ლამაზი შეხედულობის, თავ-ყაბალახიანი და ფეხ-წუღიანი კაცი და წყნარის, სანდომიანის ხმით, მაგრამ გაჭირვებულის ჩოქიკით, უთხრა პიჯაკიანს:

— პატონო, თქივენ ათფუკანტი არ ბზანდებით?

— მერე, საქმე რამე გაქვს ჩემთან?

— იახა, ქარილადები მაქს ჩემი ნაპატონიშ მოცემული. არდგილი მოპყიდა უწინ და ახილა ვარია თქვა; დუუნტკიცებელი წიგნი არისო და მინწას ჩამუართმეო. მე მირონი სუდში იეჩილე, ასე-ასე იყო, მეთქი, უთხარი. იმან ქარილადს დახედა, ბრეული იკითხა კალონეფი და ბოლოს მითხირა, მირონისპოსლედნიკის საქმეაო. იმასთან მიველი და «მე მომეციო და გილეხების პირსუსტიაში წარივადგენო», მარა მე ვერ გავბევდე. ახილა თქვენ გეხივეწებით, რავა ჯობია და რავა არა, მიბზანოთ და დამასტაულოთ და წორეთ, რაც შემირძლია, თუ არ მოვკტი, გენსახურებითი. უსტაულური გრამატაში ჩამინწერა და გობია მე მონცა.....

— კარგი, ახლავე, ცოტა მოითმინე და მერე ცალკე ენახავ შენ ქაღალდებსაც და კიდეც მაშინ მოვილაპარაკებთ. დაჰპირდა ადვოკატი, რომელსაც პირზე ღიმილი მოსდიოდა.

— აი, ეგ არის თქვენი საქმე, წამოიძახა უგემურად გაცინებულმა მოხუცმა,—აგრე აბრიყვეთ და ატყავეთ გლეხ-კაცები! შენ, ჩემო ძმაო! ტყუილა ნურაფერს დაჰკარგავ, ვერას მოიგებ: ადგილი სულ ბატონის არის, ბატონის! ის კი სჯობდა მამაცხონე ბულს, ქართული არ დაეხარჯა, ასე თუ უჭირდა! —ჩაილაპარაკა თავისთვის დაცინებით ძველმა ბატონმა.

— შენოდენი სხვისი ნაცოდვარი თერთი და საქონელი რომ მეშონებოდეს, ქართულს კი არა, ფრანიცულს და ლემენცურს კი ვისტავლიდი, შენ მომიკვტე! ისხარტა გლეხმა და უცებ გაძვრა სადღაც.

— ოოოჰ! ეს არი ახლა კარგი? დაიყვირა გლეხზე და მის მოსარჩლეზე, ორივეზე გამწყრალმა მოხუცმა და ავის თვალით შეხედა წყნარად მჯდომარე და მღიმარე ადვოკატს.

— რას ერჩით საწყალს, რას ეცინით და აბ ლებთ, რომ თქვენსავით ვერ ლაპარაკობს მატოჰ და თავის საკუთრებას რომ ეძებს მიტოძ კიდე? ....იმას დავეხსნათ, ჩვენ ჩვენსას ნუ დავივიწყებთ. მე რას მოგახსენებდით: საზოგადოთ ქვეყნის სარგო საქმისათვის, თუ თავის მშობელი და გამზრდელი ქვეყანა გიყვარსთ, უკან ხელი არ უნდა გიდგებოდესთ და ძუნწი არ უნდა იყოთ, რომ თქვენისავე მარჩენელი ქვეყნის საბედნიეროდ არაფერი გემეტებოდესთ. ეს იმისთანა უსჯულო დანაშაული იქმნება, როგორც ის, რომ შვილს მშობლის რჩენა არაფერ თავის ვალად არ მიაჩნდეს და ან დედ-მამას შვილის საპატრონოდ არაფერი ეღევინებოდეს....

— ეეე, შენ ჩემო თავო! წამოიძახა მოხუცმა და თან წამოვარდა გულზე შემხტარი —შენ, ჩემო ენა-წასულო ბრძენო, ნამეტანს შვრები: შენ რა ხელი გაქვს ჩემი შვილების პატრონობის წამოსაკრავად? ის რა შენი საკითხავი და გამოსაკიდია, მე ძუნწი ვარ, თუ შვილებს არ ვჭირისუფლობ, თუ რასაც ჩემს სახლში ვშვრები?! ურჯულო და უღმერთო ასე უნდა, რომ მარხვა და ხსნილი არ იცი და საყდარში კაცი ვერ დაგიჩვენიებს, თვარა მე ღმერთიც მწამს და რჯულიც მტკიცედ მიჭირავს....მაგრამ ამისთანა თავ-გასულს გუშინდელ ბოშვებს რომ ხმას გამოსცემ, ასე დაგემართება,—ყოლის-ფერს გამოგიმხელენ და გამოგასაღორებენ ქვეყანაზე....ან კი რა იციან, ოღონდ არ გატყდებიან თვარა: აი, ერთმა იმისთანამ, სწავლით გამოსულელებულმა ჩემმა ნათესავმა ყმაწვილმა—ოჰ! ეს თუ ტყუილი მოვიგონო, ღმერთმა თქვენი მოძულებული მომკლას;—იმე! დამიჭინა და დამიჭინა, მაინცა და მაინც კატა ღორიაო!!! ბიჭო, კატა ღორი რავა იქნება, მეთქი, რომ უთხარი, იმან გადარეულივით გაიცინა და მითხრა: მაგას ვინ მოგახსენებსო?—გადაფიცა ისე ურცხვად და მერე კიდე წამოსცდა და მითხრა; რომ შევაზახე და კიდევ დაფიცა..... ეჰ, დამეხსენით, ნულარ გამახსენებთ მის ნათქვამებს, რას არ წაეპოტინა, რას არ მიედვ-მოედვა: მადლობა ღმერთსო, ახლა მაინც გლეხებმა თქვენი «დამოკლეს» ხრმალი დაგიმტვრიეს ბატონებსო და თქვენი უსამართლობა რომ აწვათ თავზე, ეშველათო. რას ამბობ, რომელი ჩვენი და მოჰკლესო და ხრმალი როდის დაგვიმტვრიეს, მეთქი! ის გადაბრუნდა სიცილით: ასე არ მითქვამსო! მითხრა.—სულელი, სულელი!... მერე ილორის წმიდა გიორგის გიორგობას სასწაულით რომ ხარი მოჰყავს, ის იქ რომ მეხატურია, მისი ხრიკი არისო, თვარა არ შეიძლებაო, რა ვიცი, რა არ თქვა?.. ქალებსაც ჩვენგან აწი პრაწი და გაშვება უნდათო, თვარა თქვენ მათთვის ჭირანი ხართო, ამ ნაირად მოგვთხარა ყოვლისფრად!..

აქ შესწრფება ჩვენი ბერი-კაცი უცებ და უფრო დახეულის და ფრთხალის ხმით ჩაილაპარაკებს გაოცებული:—ჰუი, დასწყევლოს ღმერთმა, მგელს ახსენებდნენ და კარ[ს]ედ იდგაო—ეს არაკები სულ მართალია: შეხედეთ, ის აგერ არ მოდის!?-მერე, ცოტა რომ მობრუნდება, დაუმატებს:—აბა ახლა ერთი ამას ვუყუროთ, ბევრს კაი რამეს არ გველტყვის სანუგეშოს? ისემც ღმერთი უშველის! მაგრამ რომ არავის ეკარება, ჩვენთან რავა მოვა?..... სსუუ! კი მოდის, კი ჩვენსკენ; რავა მოისოლება, და რა რჯული კოთხოსავით ქუდი ახურავს! აბა ამ სიცხეში ხელჯაგვები რად უნდა, ან ბებერივით სათვალე რომ წამოუცვამს...აბა, შეხედეთ, ყოვლისფრით უხიაკი თუ არ არის!?....

მეგრი-კორრესპონდენტი

ნოემბრის დამლევს.

---

# რუსეთი

> იანვრის 9-ს მიიცვალა პეტერბურღში მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი კნეინა ე ლ ე ნ ე პ ა ვ ლ ე ს ასული, რომელიც გამოჩენილი იყო რუსეთში, როგორც კეთილმოქმედი და განათლების გამავრცელებელი პირი.

**მოსკოვიდამ, იანვრის 9-ს.**

(«დროების» კორრესპონდენცია)

რვას ამ თვისას აქაურ ოლქის სასამართლოში იყო ნ ე ჩ ა ე ვ ი ს ს ა ქ მ ე, საქმე, რომელმანც მიიპყრო აქაური საზოგადოების, ყურადღება. ვგონებ, ნამეტანი არ იქნება, რომ თქვენს გაზეთში იქნეს ნათქვამი რამოდენიმე სიტყვა ამ საქმეზე, და ამისთვის გიგზავნით ამ წიგნს.

რა კი გავიგე, რომ რვა იანვარს ნეჩაევის საქმე იქნებაო და ამასთან ისიც, რომ უბილეთოთ შესვლა არ შეიძლებაო, ადრე შეუდექი საქმეს: სამის დღის წინეთ წაველი ოლქის სასამართლოში ბილეთის ასაღებად. კორიდორში რომ შევედი, იქ დამხვდა აუარებელი ქალი და კაცი. კედელზე წავიკითხე გამოცხადება: «ბილეთების დარიგება იქნება 5 იანვარს, ერთ საათზე ნაშუადღევს.» იმედი მქონდა, რომ სწორეთ ვიშოვნიდი ბილეთს. ქალი და კაცი ყველა იმას იძახოდა, რომ შეგვახედონ ერთი იმ ნეჩაევს და მეტი არა გვინდაო. ერთი მხრიდგან მოისმოდა: «რა მხეცია, ერთი შევხედოთ,» მეორე მხრიდგან მოისმოდა: «რა ფრინველია!» და სხ. ერთის სიტყვით, ყოველი კაცისა და ქალის სურვილი ის იყო, როგორმე შეეხედნათ ნეჩაევისათვის. საათი შესრულდა და ზალის კარიც გაიღო; გაიღო თუ არა კარი, რამოდენიმე ნაწილმა პუბლიკისამ ხრიალი გაადინა შიგ. დანარჩენი არ შეგვიშვეს იმ მიზეზით, რომ შიგ ადგილი აღარ არისო. ამ სახით დავრჩი უბილეთოდ. გამოაცხადეს, რომ ბილეთები, ვინც ზალაში იყო, დაურიგეთ მათ და მეტი აღარ გახლავსო.

8-ს იანვარს, ორ საათზე, ნაშუადღევს წაველ ოლქის სასამართლოსკენ; მინდოდა კორიდორში შევსულვიყავი, რომ ნეჩაევისთვის შემეხედნა, როდესაც გამოიყვანდნენ მას ზალიდგან. სასამართლოს წინ, მოედანზე, აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი და ჰქონდათ გაცხარებული ლაპარაკი ნეჩაევზე. რასაკვირველია, მის თანამგრძნობელს იქ ვერ იპოვიდით, ყველა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამბობდა, რომ ის ცუდი კაცია და ღირსია ფიცხელი დასჯისაო. ერთს ადგილს რამოდენიმე ვაჭარი იყო ერთად და ლაპარაკობდენ. ერთმა იკითხა: «რა კაცია ეს ნეჩაევი, ან სადაური მცხოვრებელიაო?» მეორემ მიუგო, რომ ამა-და-ამ ქალაქის მცხოვრები, დაბალი ვაჭრის (мѣщанинъ) შვილიაო. «ჰხედავ, თქვა პირველმა, როგორი როლის თამაში მოუნდომებია!»

ხალხი დილხანს იდგა აქ და მოუთმენელად მოელოდა, რითი გათავდებოდა საქმე. გარდა ხალხისა, აქ მჭვრეტელის ყურადღებას მიიპყრობდნენ კარეტები: ერთად ამდენი კარეტები თავის დღეში არ მინახავს. თვითონ ოლქის სასამართლო მეორე ეტაჟში არის. გავაღე კარი და შევედი ძირს; იქიდგან კიბეზე უნდა ავსულვიყავ მეორე ეტაჟის კორიდორში, მაგრამ ვის შეეძლო იქ შესვლა! კიბე მთლად გატენილი იყო ხალხით.

ოთხი საათი იყო, საქმე რომ გათავდა და გამოვიდა პუბლიკა. ვინც აქ იყო, ყველამ შენიშნა, რომ საშინელი დიდი ყურადღება მიუქცევია ამ საქმეზე მთელ საზოგადოებას. ეს ცხადია. გამოდის აუარებელი კაცები და ქალები, ღენერლები, პოლკოვნიკები, პროფესორები, პალატის ჩინოვნიკები, ერთი სიტყვით, სულ სხვილ-სხვილი კაცები, სულ შესანიშნავი, განათლებული კაცები. აქ ბევრჯერ ვყოფილვარ ოლქის სასამართლოში, მაგრამ ამნაირი მაღალი საზოგადოება ძვირათ ყოფილა, უფრო ხშირათ არის უბრალო, შავი ხალხი. ეხლა კი სულ სხვა იყო, ეხლა თითქმის მთელი მოსკოვის მაღალი საზოგადოება აქ იყო.

საქმე გათავდა მით, რომ ნეჩაევს გადაუწყვიტეს ოცი წლით სამუშაო ადგილს (каторжная работа) გაგზავნა. ამბობდნენ, რომ ძალიან უხეიროდ მოიქცა ნეჩაევი ზალაშიო, მსაჯულებს ზურგი მიაქციაო, კითხვებზე სწორი პასუხი არ მისცაო, სთქვაო, რომ მე შვეიცარიის ქვეშევრდომი ვარო და თქვენ არა გაქვსთ უფლება ჩემი საქმის გარჩევისაო. მისმა უხეირო ყოფა-ქცევამ იქამდის მიიყვანაო პუბლიკა, რომ ზალაში დაიძახესო: «გააგდეთ კარში! კარში!» ასე რომ თავსმჯდომარემ თურმე გვარიანი ამაღლებული ხმით უთხრა პუბლიკას, რომ გაჩუმებულიყო, მაგრამ მაინც იძულებული იყო ებრძანებინა, რომ ნეჩაევი სამჯერ გაეყვანათ კარში. ყოველმა მისმა სიტყვამ, ყოველმა მისმა

მიხრა-მოხრამ საშინელი შთაბეჭდილება იქონია პუბლიკაზე, თურმე. ერთი მოსკოველი გაზეთი ამბობს, რომ ისინი, ვინც არ იყვნენ მაშინ იქ, ბევრად მოგებული არიან, რადგანაც არ გამოუცდიათ ის შთაბეჭდილება, რომელიც იქ მყოფთა გამოსცადესო და რომელიც ღმერთმა ნუ გამოაცდევინოს მათაო.

მე ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავი, სანამ აქაური გაზეთები არ წავიკითხე, რომელთაც სრულიად დააკმაყოფილა საზოგადოების იმ ნაწილის მოთხოვნილება და სურვილი, რომელიც არ ყოფილა ზალაში: მათ დაწვრილებით აწერეს ნეჩაევის თვალ ტანადობა. «მოსკოვის უწყებებმა» მაინც ისე აწერა, რომ მხატვარს, მისი წაკითხვის შემდეგ შეუძლია დახატოს მშვენიერად ნეჩაევი. ეხლა მთელმა საზოგადოებამ იცის, რომ ნეჩაევი ტან-მორჩილია, წვერებ თხელი, თვალებ ჩავარცვნილი და სხვა. პუბლიკას უკვირდა თურმე, როგორ შეეძლო ამისთანა კაცს ჰქონოდა გავლენა თავის ამხანაგებზედ, რითი მიიზიდა ამან ისინიო; საშინლად გაკვირვებული იყო თურმე პუბლიკა მისი ჭკუა-გონებით. მას ეგონა ის გონიერი კაცი. პროკურორმა რომ გაათავა თურმე თავის სიტყვა, ნეჩაევმა თქვა: «რუსის მართებლობას შეუძლია წამართვას მე სიცოცხლე, მაგრამ პატიოსნება კი მე დამრჩებაო» და დაირტყა ხელი გულზედ.

იმ ნიშნებიდგან, რომელიც მითხრეს მაზე და აწერილიც არის, ნეჩაევი თავის დანიშნულ ადგილზე ვერ მიაწევს, გზაში მოკვდება, რადგან, როგორც ამბობენ, ძლიერ გამხდარი და დასუსტებული არისო.

ს. ხაზინინი.

---

## უცხო ქვეყნები

### საფრანგეთი

**პარიჟიდამ**

(«დროების» კორრესპონდენცია)

ყველა კაცი რომ საზოგადო აზრის მონაა რომელიმე ხარისხამდე,—ეს ძველი ჭეშმარიტება არის; იქამდინ მიუყვანია უმრავლესობას საზოგადოებისადმი მორჩილება, რომ ის უსიტყვო პირუტყვს დამზგავსებია, დაუკარგავს თავისი პიროვნობა, გაუქვრია უმაღლესი კაცობრივი თვისება: თავისუფლების და დამოკიდებულობის გრძნობა, და გაჰყოლია თვალ-დახუჭული საზოგადო ტალღასა... ამნაირ მოგზაურობას რომ ბევრი სამწუხარო და მავნებელი შედეგები მოჰყვება,—ამას ვინ არ ჰხედავს?... სხვანი კი, რომელნიც გარეშე საკუთარის მსჯელობისა არას მიიღებენ, და მხიზელ თვალითა უცქერენ ცხოვრებას, ისინი ნიადაგ ებრძვიან დამყარებულ ცხოვრებას, ჩვეულებასა, შეცდომილებასა; ისინი თამამად მიდიან წინ, უჩვენებენ და უქადაგებენ ხალხს უფრო სასარგებლო და მშვენიერს მომავალსა... მაგრამ, სრულად მაინც ვერ აცხადებენ თავის აზრსა! რატომ?—იმის გამო, რომ ხალხში გავლენა არ დაჰკარგონ, ისეთი აზრის წარმოთქმით, რომელიც ჭეშმარიტია, მაგრამ, საზოგადოების ზნეობის სიმცირის გამო, გაუგებელი დარჩებოდა და ნაცვლად კეთილისა, ბოროტს მოიტანდა... პირველნი—სუსტი და სუბუქი ბუნების პატრონნი არიან, მეორენი კი—ძლიერნი და საფუძვლიანი, მხნეობით და გონებითა.

რამდენათაც უფრო გახსნილია ადამიანის ტვინი, იმდენათ ორიგინალური და თავისუფალია ის თავის მოქმედებაში, იმდენათ მაღლა სდგას ცხოვრების პირობებზედა; მაგრამ სრულს დამოუკიდებლობას, განშორებას გარეშემო გარემოებისაგან — ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ. იმისთანა ისტორიული პირის პოვნა, რომელსაც თავის დროისთვის არ შეეწიროს რაიმე მსხვერპლი, ერთობ საეჭოა! ერთი იყვნენ ყველა რეფორმატორები. ყველაფერზედ და ყველაზედ, უთუოდ, დაესმება დროების ბეჭედი...

---

ამ წინასიტყვაობით მინდა ავხსნა იმ გაზეთების ალაპარაკება ნაპოლეონის სიკვდილზე, რომელთაც პირველ დღეს, რამდენიმე სტრიქონის მეტი, არა დაუბეჭდავთ რა ამ საგანზედ; საზოგადო ინტერესმა გაიტაცა ისინიცა და აალაპარაკა. ეს ერთი კვირაა, მთელი ევროპის ლიტერატურას სხვა სალაპარაკო არა აქვს რა, გარდა ნაიმპერატორალის გარდაცვალებაზედ სჯისა და ბაასისა, შესანიშნავია ის საყოველთაო სამდურავი და წყევა, რაც ნაპოლეონს ჩაატანეს საფლავში; გასაგებიც არის ამნაირი გამწარება, ნამეტურ საფრანგეთისა, რომელმანც მარტო უკანასკნელ ომში 5 მილიარდი, ორი პროვინცია და სამასი ათასი თავისი შვილი, მტრისაგან და შინაურებისგან მოკლული, დაჰკარგა! მონარხიელებისათვის ეს საზარელი მაგალითები თითქოს არ არსებობსო! ისინი ამტკიცებენ, რომ საფრანგეთს, თუ ხელმწიფე არ ეყოლა, ისე არ ივარგებსო. მათ მოახსენეს, რომ «საფრანგეთის ხალხმა კარგათ დაანახვა ქვეყანას, რაც სიყვარული და ერთგულება აქვს იმას თავის ხელმწიფეებისადმი. ნუ თუ მშვენიერად არ ამტკიცებს ფრანცუზების გრძნობასა ის გარემოება, რომ უკანასკნელ ოთხმოც-და-ათი წლის განმავალობაში საფრანგეთმა ხუთი ხელმწიფე ჩამოაგდო ტახტიდგან? ლუდოვიკოს XVI-ს კონვენტმა თავი მოაჭრევინა, ნაპოლეონ I გაგდებული მოკვდა წმინდა ელენეს კუნძულზედ, კარლოს X ამნაირათვე გრაცში, ლუი ფილიპე ვერმონტში და ნაპოლეონ მესამე ჩილსჰერტში! განა არ გვარწმუნებს ჩვენ ეს მაგალითები, რომ საფრანგეთის ხალხს მოსძულდა მეფეების ლაგმის ქვეშ სიარული?!»

---

ბონაპარტიულმა პრესსამ გააკვირვა ქვეყანა! «წყალ-წაღებული ნაფოტს ეპოტინებაო» —სწორეთ მისი საქმეც ასეა. «იმპერატორი მოკვდა, მაგრამ იმპერია დარჩა: ცეზარის სიკვდილმა დაამყარა ოქტოვიანის ტახტი.» ცეზარის ნაპოლეონ მესამესთან შედარება რომ ერთობ დიდი სისულელე არ იყოს, გააცინებდა კაცსა... ამ ორ ისტორიულ პირსა იმდენი მზგავსება აქვთ ერთმანერთთან, რამდენიც ორბსა და იმ ყვავს, რომელიც წიწილებს სტაცებდა ჩემს ძიძას!

ნაპოლეონის გლოვა განსაკუთრებით ორმა ევროპელ ხელმწიფემ ისურვა:—ვიქტორ ემმანუელმა, იტალიის კოროლმა, და ავსტრიის იმპერატორმა, ფრანც იოსებმა! ყველამ იცის, რომ იტალიის კოროლი ნაპოლეონის ყურმოჭრილი ყმა იყო. იტალიის განთავისუფლებისთვის დაწყებული ომი ერთბაშათ შეაჩერა ნაპოლეონმა და ვილაფრანკის გარიგების დროს, კოროლისთვის არც კი შეუტყობინებიათ, არამც თუ ეკითხოს ვისმეს მისი აზრი ავსტრიელებთან მორიგების თაობაზე. ამ დავალებისთვის ნაპოლეონმა ორი პროვინცია წააგლიჯა იტალიას და მუდამ უშლიდა იტალიის შეერთებას. რომ გარიბალდი არა, იტალიის კოროლი ეხლაც ისეთს საწყალ მდგომარეობაში იქნებოდა, ნაპოლეონის წყალობით, როგორც 1859 წლამდი....

კიდევ უფრო გაუგებარია ავსტრიის იმპერატორის მხრით მწუხარების სახე იმ კაცისთვის, რომელიც ნიადაგ ავსტრიის დამცირებას სცდილობდა და კიდევაც შეასრულა რამდენთამე. უკანასკნელად, იუდასავით შეაცდინა ავსტრიის იმპერატორის ძმა, მაქსიმილიანე, და პირადი ანგარიშისათვის გაგზავნა ამერიკაში. ჩვენ გვახსოვს, რომ, ამერიკის ურთიერთ ომის შემდეგ, შეერთებული შტატების მინისტერმა, სიუარდმა, მოსთხოვა ნაპოლეონს, წამოეყვანა მექსიკის იმპერატორი და კანონიერი ხუარესის მმართებლობისთვის დაეთმო მექსიკა. ნაპოლეონმა ერთბაშათ გამოიყვანა ჯარი, (თუმცა პირობა ჰქონდა მიცემული, რომ დაიფარავს ძალით მექსიკის ტახტს) და საბრალო მაქსიმილიანე მიანება საკუთარს ღონეს. ამერიკაში მონარხიის დაფუძნების ცდას ის ბოლო ჰქონდა, რომ მაქსიმილიანე დაიჭირა ხუარესმა, მექსიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, და, როგორც ავაზაკი, ისე დახვრეტინა. აი, ეს სიკეთე მიუძღვის ავსტრიის იმპერატორის სახლთან ნაპოლეონს!

---

ნაპოლეონის დასაფლავებაზედ ბევრი მისი ნამსახური კაცები შეიყარნენ. ერთი შესანიშნავი შემთხვევა, რომელიც ამდროს მოხდა, ღირსია ყურადღებისა:

ინგლისის ტახტის მემკვიდრემ ისურვა დასწრება ნაპოლეონის დამარხვაზედ. მაგრამ.. ნება არ მისცეს! უცხო ქვეყნების საქმეების მინისტერმა, ლორდ გრენვილმა წინააღმდეგობა გამოაცხადა ესრეთს მემკვიდრის სურვილზედ და ვალისის პრინცი ძალიან გულდაწყვეტილი და შერცხვენილი დარჩა!

---

ეს ერთი კვირაა, ლეგიტიმისტებმა წმინდათ გაიმინდვრეს ნაციონალურ კრებაში; მოჰყოლიან და ყაყანებენ, რომ «სამღვდელოებას უნდა ექნეს, უთუოდ, მინდობილი ახალი თაობის აღზრდაო» განსაკუთრებით შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ამ საგანზედ ჟან ბრუნემ, (რომელსაც ცოტათი შეშლილობას სწამობენ). ორატორი ამბობს: «ღმერთო, როგორი დრო დადგა! ღმერთი არა სწამთ და მღვდელი! ჩვენს ქვეყანაში სარწმუნოების სამასხაროდ აღება, კრიტიციზმი პირველად ცინიკმა ვოლტერმა დანერგა და ეს ბოროტი ხე სულ თან-და-თან იზრდება მას აქეთ... ვიცით ჩვენ, რაც არიან ისინი, რომელთაც «თავისუფალ მოაზრეთ» უწოდებენ!... წასრულს საუკუნეში რობესპიერი და ბაბეფი იყვნენ ამ სწავლის წარმომადგენელნი. საზოგადოებაში ატეისტობა გავრცელდა, სწავლა და განათლება დაეცა! მიჩვენეთ, აბა, ერთი შესანიშნავი სწავლული ჩვენს საუკუნეში, თუ იცნობთ თქვენ?» მარცხენა მხარე უპასუხებს:—«ტრიბუნაზეა ისა!» ბრუნე, წახალისებული როიალისტების ტაშის-კვრით, ამბობს: «მე ვიცნობდი: ანფანტენს, ლამენეს, ლერუს, პრუდონსა! ყოველ მათ სწავლასა, და ყოველს მათ ქადაგებასა პოზიტიური მნიშვნელობა და ხასიათი ჰქონდა! მითხარით, ვინ უნდა დავაყენოთ ახალი თაობის დამრიგებლად, მოძღვრად—თუ არა სამღვდელოება!»—«თქვენ», უპასუხა მარცხენა მხარემ... მარჯვენა მხარე კი გაცხარებული ტაშის-ცემით უცხადებს აბრუნეს თავის კმაყოფილებას და ამნაირი ამბავით თავდება სეანსი... იმაზედ მჭევრმეტყველობა, რომ მეცხრამეტე საუკუნე ყოველ მოვლენას სწავლაზედ აფუძნებს, სჯის და იკვლევს ბუნებასა და არ არის ისეთი ბრმა-მორწმუნე, როგორც პირველი მაჰმადიანები,—რაღა თქმა უნდა, ამნაირი მსჯელობა ძალიან [illegible] საფრანგეთის მტრისაგან განთავისუფლებასა და მშვიდობიანობასა ქვეყანაში! რაიმე შემთხვევა რომ გამოხვეტდეს პალატიდგან ვერსალის იეზუიტებს და შემთქმელებს საყოველთაო სასიამოვნო რამ იქნაბა, ამათთანა შუბლ გატეხილი არა იქნება რა! თითქოს ხალხი მართებლობისათვის უნდა არსებობდეს და არა მართებლობა ხალხისათვის?

სხვა რომ ვერა გაუვიდათ რა, რესპუბლიკის სახელით მონარხიული კანონების შედგენას მიჰყვეს ხელი და ერთ დღეს ჰსურთ, რესპუბლიკა, ხელ-ფეხ-შეკრული, რომელსამე პრინცს ჩააბარონ. ოსტატური განზრახვაა, რომ მოსახერხებელი იყოს!

---

ბაზენის საქმეზედ გაზეთებმა გვაცნობეს, რომ «ტერიტორიის განთავისუფლებამდინ, «უმაღლესი მოსაზრების გამო,» მარშალის პროცესსი არ დაიწყებაო.» კარგი იქნებოდა, რომ ეს უმაღლესი მოსაზრება» წინეთ მოსვლოდა ტიერს, როდესაც პატიოსანს პარიჟის ხალხს ქუჩებში ორას-სამასობით ახვრეტინებდა თავის სალდათებსა!

დ. მიქელაძე.

პარიჟი, 17 იანვარს.

---

## განცხადებანი

---

### ადვოკატი

**თავადი რაფიელ დავითის-ძე ერისთავი**

მიიღებს ყოველდღე ყოველგვარს სადაო საქმეებს საწარმოებლათ მომრიგებელ მოსამართლეებთან და საზოგადო სასამართლოებში ქალაქ ტფილისში და გარეშე ქალაქებშიაც.—აგრეთვე კისრულობს დაცვასა სიმართლეთა ბრალდებულთა სისხლის სამართალის საქმეებში.

ვისაც ჰსურს მისი მიწვევა ქალაქს გარეშე, უნდა აცნობოს რაოდენათაც შესაძლო არს წინათვე, ამ ადრესით: ქალაქს ტფილისში, ირაკლიევსკის ქუჩაში, ვასილი არტაზოვის სახლებში. (Въ Тифлисѣ, на Иракліевской улицѣ, домъ Василія Артазова).

ფასი შრომისა—დამტკიცებულის ტაქციით, ანუ ურთიერთ შორის შეთანხმებით.

---

1873 წლის 1 იანვრიდამ სომხური გაზეთი «მშაკ» წელიწადში შვიდი მანეთის მაგიერათ ხუთ მანეთად ეღირება. ნახევარი წლის ფასი სამი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება გაზეთის-მშაკის» რედაქციაში, რომელიც ყოველ-დღე გახსნილია დილის 9—11-მდი და საღამოს 5—7-მდი.

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газеты «МШАКЪ»*

ამ გაზეთში იბეჭდება განცხადებანი: სომხურს, რუსულს, ქართულს, ფრანცუზულს, ნემეცურს და სხვა ევროპიულს ენებზედ. განცხადების ფასი ათ ჩვეულებრივ ასოზე 1 კაპეიკია.

---

ე. ვ. მამაცოვისა იყვანს შაგირდათ ქალებს და მუქთად ასწავლის ქალების ფეხსაცმელის კერვასა და წერა-კითხვას. დაწვრილებითი პირობის შესატყობელად მსურველს შემდეგი ადრესით შეუძლია მიმართოს: კუკიაში, რეუტის ქუჩაზე, ფილიპოვის სახლებში.

---

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Января 1873 г.* გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.